**სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272 401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

# ქართული ენა და ლიტერატურა

# (Georgian language and literature)

**მიმართულება** - 10 ჰუმანიტარული მეცნიერებანი
**დარგი** - 1005 ფილოლოგია
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის ბაკალავრი. Bachelor in Philology
**პროგრამის ხელმძღვანელები:**
ნინო კოჭლოშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით
ელენე ფილაშვილი - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენეტ პროფესორი ქართული ენის მიმართულებით

1. ცვლილებები შეტანილია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
   ოქმი N1, 3 იანვარი 2018

ფაკულტეტის დეკანი: ( პროფ. ნ. კოჭლოშვილი)

2. ცვლილებები შეტანილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
ოქმი N6, 16 თებერვალი 2018
სამსახურის უფროსი (ასოც. პროფ. შ. ჭკადუა)

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი N14, 16 მარტი 2018
უნივერსიტეტის რექტორი: (ასოც. პროფ. ი. შიოშვილი)

თელავი
2018

- **ფაკულტეტი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
- **დეპარტამენტი:** ქართული ენისა და ლიტერატურის
- **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ქართული ენა და ლიტერატურა (Georgian Language and Literatute)**

- **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:**

ნინო კოჭლოშვილი - პროფესორი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით

ელენე ფილაშვილი - ასისტენეტ - პროფესორი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით

- **ტელ.**: 593 33 58 71 / 593 50 42 70
- **ელფოსტა**: nkochloshvili@gamil.com; nino.kochloshvili@tesau.edu.ge
  elenepilashvili@mail.ru; elene.pilashvili@tesau.edu.ge

- CV იხილე ცალკე ან სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის) ვებ–გვერდზე (www.tesau.edu.ge)
- **აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (I)
- **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** ძირითადი
- **სწავლების ენა:** ქართული
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: ფილოლოგიის ბაკალავრი **(The Degree of Bachelor in Philology)**
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებში:** 240 ECTS კრედიტი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება; პროგრამაზე შეუძლია ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გამოცდებს.

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**:

  შესაბამისობაშია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით.

  პროგრამის მიზანია ბაკალავრი ქართული ფილოლოგიის დარგში უზრუნველყოს საბაზისო ფართო ცოდნით, რაც მას კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე საშუალებას მისცემს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის. პროგრამის მიზანია ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელ ძირითად დისციპლინებში მიღებული განათლების საფუძველზე ბაკალავრამა შეძლოს უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელება. დასაქმდეს ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში. ასევე, სწავლის დამთავრების შემდეგ შეეძლოს ქართულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი; გააჩნდეს ანალიზისა და სინთზის უნარი; შემოქმედებითი ძიების უნარი; შეეძლოს განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები; შეძლოს ზეპირი და წერილობითი ინფრმაციების მომზადება და ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტების შესახებ, ფლობდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, უცხო ენას საბაზო დონეზე; შეეძლოს სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით; აანალიზებდეს ქართულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს; შეეძლოს ქართულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით; ითვალისწინებდს და პატივს სცემდეს მეცნიართა აზრს.

**პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:**

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს შესძინოს ფართო ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

ქართული ენათმეცნიერების, ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ენისა და კულტურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ლიტერატურის თეორიის, ქართული ლიტერატურის, ტექსტოლოგიის, ფოლკლორის.

ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.

პროფესიული მიდგომა ქართული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის არსებითი საკითხებისადმი; ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საბაზისო საკითხებში მართებული თეორიული გააზრებისა და პრაქტიკულად სწორი ორიენტირების უნარი.

დარგობრივ სფეროში პროფესიული კითხვისა და დაკვირვების უნარი.

ანალიზის, პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი შესაბამისი ცოდნის გამოყენებით.
ლიტერატურის თეორიის, ლიტერატული კრიტიკისა და ტექსტოლოგიის მეთოდების გამოყენების უნარი.
ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართული ლიტერატურისა და ზოგადად
კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით.
მონაცემთა ინტერპრეტაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარი.
ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.
საკუთარი შესაძლებლობების შეფასების უნარი.
დისკუსიებში მონაწილეობისას საკუთარი მოსაზრების დაცვისა და სხვისი აზრის პატივისცემის უნარი.
ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით (ანალიზი და სინთეზი).
დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს გეგმის შედგენის, პრიორიტეტების გამოყოფის უნარი.
დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და ანგარიშის მომზადება ქართულ ენაზე წერილობითი და ზეპირი ფორმით.
ქართული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის არსებითი საკითხების შესახებ კომუნიკაცია როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა წრეში.

პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრს გამოუმუშავდება შემდეგი კომპეტენციები:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დაუფლებულია ქართულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული თემატიკისა და მასალების მოპოვება-დამუშავებას, ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებს.<br><br>ერკვევა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის კონსტრუქციების რაობაში; იცნობს ლინგვისტიკის ძირითად კონცეფციებს.<br><br>აქვს ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის შესახებ ცოდნა; დაუფლებულია სინტაქსთან დაკავშირებული თემატიკის ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებს. |

| | |
|---|---|
| | აქვს ქართული ენის ბგერითი სისტემის დასაბუთებული მეცნიერული ფართო ცოდნა; დაუფლებულია ფონეტიკასთან დაკავშირებული თემატიკის ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებს. ესმის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფონემური სტრუქტურა; იცნობს ფონეტიკის ძირითად კონცეფციებს.<br><br>ერკვევა მორფოლოგიის როგორც გრამატიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგის რაობასა და საგანში.<br><br>სტუდენტს აქვს ქართული ენის გრამატიკის (სახელთა სისტემის) საფუძვლების ფართო ცოდნა; ანალიზისა და სინთეზის უნარი.<br><br>სტუდენტს აქვს ზმნის მორფოლოგიის საკითხების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ზმნის რაობის, სინტაქსური ფუნქციის, წარმოქმნისა და უღლების კატეგორიების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და მათთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.<br><br>სტუდენტი აცნობიერებს ქართული წინადადების სპეციფიკის თეორიულ საკითხებს: წინადადების მთავარ და მეორეხარისხოვან წევრებად დაყოფის კრიტერიუმებს.<br><br>კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ რა ძირითადი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური ცვლილებები შეეხო ენას მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, როდის და რა პირობებში შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენა, რა გახდა საფუძველი სამწერლობო ენისათვის, როგორი იყო ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობა, ერთი მხრივ, დილექტებთან და, მეორე მხრივ, უცხო ენებთან, როგორ უნდა გაიმიჯნოს ენობრივი ფაქტები შემთხვევითი ფაქტებისაგან და ა. შ.<br><br>სტუდენტს აქვს ქართული დამწერლობათმცოდნეობის, პალეოგრაფიის ძირითადი საკითხების სისტემური ფართო ცოდნა, ფლობს პალეოგრაფიის წყაროებს, წელთაღრიცხვის სისტემებს, ასომთავრულ და ნუსხური ანბანს, იცის ასოთა რიცხვითი მნიშვნელობანი ძველად, უძველესი ქართული წარწერები და ხელნაწერები; დამწერლობის წარმოშობის შესახებ არსებული თვალსაზრისები; სამწიგნობრო ხელოვნების ისტორია (საწერი მასალები, იარაღი და საღებავი), დაქარაგმების წესები და ნიშნები.<br><br>სტუდენტს აქვს ძველი ქართული ენის გრამატიკის ფართო ცოდნა, ძირითადი თეორიების კრიტიკული გააზრების უნარი, იცნობს საკვანძო საკითხების ირგვლივ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს, შეუძლია |

| | |
|---|---|
| | თანამედროვე ქართული ენის დონეებთან მიმართებით ძველი ქართული ენის თავისებურებების გამოკვეთა, მათი შეფასება და ანალიზი.<br><br>სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა სტლილსტიკის (გრმატიკული, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) საკითხებში, აცნობიერებს სტილისტიკის თეორიულ საკითხებს: ასხვავებს სხვადასხვა სტილით შესრულებულ ტექსტებს ერთმანეთისგან.<br><br>სტუდენტები შეისწავლიან დიალექტებს, როგორც ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. სტუდენტებს გამოუმუშავდებათ როგორც გამოქვეყნებულ დიალექტოლოგიურ ტექსტებზე მუშაობის, ისე დიალექტოლოგიური ტექსტების ჩაწერისა და ანალიზის უნარ-ჩვევები. აცნობიერებს ქართული დიალექტოლოგიის თეორიულ საკითხებს. აცნობიერებს ლექსიკოლოგიის თეორიულ საკითხებს: დესკრიპტულ და დიაქრონულ ჭრილში. აქვს სათანადო ფართო ცოდნა ძველ ქართულ ლიტერატურაში. შეუძლია ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა. იცნობს მნიშვნელოვან მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. სტუდენტი ერკვევა ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხებში. გაცნობიერებული აქვს თითოეული პერიოდის ძირითადი მახასიათებელი.<br><br>სტუდენტს აქვს ძველ ქართულ ლიტერატურაში ფართო ცოდნა. ჩამოყალიბებული აქვს ამ მიმართულებით წარმოდგენა ამ საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე.<br>გაცნობიერებული აქვს ძველი ქართული მწერლობის კერების არსი; იცის შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია-მონასტრების უდიდესი როლისა და მისიის შესახებ; ფლობს ინფორმაციას იქ მოღვაწე სწავლულთა და ცნობილ სასულიერო პირთა შესხებ. შეუძლია საგანთან დაკავშირებული თემატიკისა და ლიტერატურის დამუშავება, არსებითის გამოკვეთა.<br><br>სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა რუსთველოლოგიის საკითხებზე. აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.<br><br>სტუდენტი გაცნობიერებულია მე-19 საუკ-ის ქართული სალიტერატურო აზროვნების ზოგად სფეროში და შეუძლია სწორად განსაზღვროს მისი როლი და ისტორიულ- ლიტერატურული მნიშვნელობა. დაუფლებულია ქართველ რომანტიკოს მწერალთა შემოქმედებას. |

| | |
|---|---|
| | სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მოიცავს აღნიშნული სფეროს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და მათთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.<br>სტუდენტს აქვს ცოდნა ქართული ლექსის მკვლევრების შესახებ, გაცნობიერებული აქვს მათი შეხედულებები, კვლევის მეთოდები, მეცნიერული დასკვნები და ინოვაციები, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამის პარალელურად, სტუდენტი დაუფლებულია იმ ავტორთა ლიტერატურულ ტექსტებს, რომელთა შესახებაც მოცემულია ხსენებულ მკვლევართა მასალებში.<br>სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურის თეორიის შესახებ, გაცნობიერებული აქვს მისი ძირითადი საკითხები, მეცნიერული დასკვნები და ინოვაციები. სტუდენტი აცნობიერებს ლტერატურის იდეურ არსს და ლიტერატურის თეორიის განვითარების კანონზომიერებებს. აქვს ცოდნა ლიტერატურულ მიმდინარეობათა შესახებ და აანალიზებს მწერლის ტროპულ მეტყველებას და სტილს.<br>სტუდენტს აქვს მიმდინარე ქართული ლიტერატურული პროცესების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს პერიოდს 90-იანი წლებიდან დღემდე. სტუდენტს აქვს უნარი გამიჯნოს მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი ლიტერატურაში, ძირითადი მახასიათებლების მიხედვით.<br>სტუდენტს აქვს გარკვეული ფართო ცოდნა ტექსტოლოგიაში, რომელიც მოიცავს აღნიშნული სფეროს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და მათთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.<br>სტუდენტი გაცნობიერებულია ქართული მწერლობის სახისმეტყველების მნიშვნელოვან საკითხებში. მას შეუძლია შექმნას ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია (ესე) ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების შესახებ, განიხილოს მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის მნიშვნელოვანი ასპექტები. განვითარებული აქვს აზსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი.<br>სტუდენტს ჩამოყალიბებული აქვს აზრი სალიტერატურო კრიტიკის მნიშვნელობაზე, ერკვევა ქართული სალიტერატურო კრიტიკის თავისებურებებში, აცნობიერებს მის სპეციფიკურ ხასიათსა და ბუნებას; გააზრებული აქვს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სალიტერატურო კრიტიკის წინაშე არსებული მიზნები და პრობლემები; იცის როგორ ხდება ქართველ მწერალთა შემოქმედების გაანალიზება, როგორც უცხოურ ლიტერატურას თანმიმართებაში, ასევე ჩვენი |

| | |
|---|---|
| | მწერლობის ტრადიციებისა და ისტორიული მომენტების გათვალისწინებით; გააზრებული აქვს მისი განვითარების ეტაპები; სტუდენტს აქვს ქართული ხალხური შემოქმედების სპეციფიკისა და შინაარსის ცოდნა. იცნობს ფოლკლორის განვითარების საერთო პროცესს. სტუდენტსა ქვს ფოლკლორის ვარიატიული ბუნების გაგებისა და მისი კონკრეტული ნაწარმოებების გაანალიზების უნარი. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია ქართულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი.<br><br>შეუძლია ლინგვისტიკასთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასება, ანალიზი; შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა.<br><br>ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია ლინგვისტიკასთან დაკავშირებული ენობრივი მოვლენების აღწერა-ანალიზი.<br><br>სტუდენტს შეუძლია ზოგად ფონეტიკასთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასება, ანალიზი; პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება, კანონზომიერებებში გარკვევა.<br><br>შეუძლია სახელთა მორფოლიგიური ანალიზი;<br><br>სტუდენტს შეუძლია სწორი ენობრივი კონსტრუქციების ჩამოყალიბებისა და პროდუცირების უნარი;<br><br>სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა კვლევითი თუ პრაქტიკული ხასიათის პროექტის/სამუშაოების შესრულებისას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ლინგვისტურად სწორად გადაჭრას ესა თუ ის პრობლემა, კერძოდ: ზმნის რაობის, სინტაქსური ფუნქციის, წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებთან დაკავშირებით, შესაბამისი ლინგვისტური სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და წყაროებზე მუშაობა.<br><br>სტუდენტს შეუძლია თეორიული ცოდნა წინადადების თავისებურებებთან დაკავშირებით გამოიყენოს პრაქტიკული ჩვევების დასაუფლებლად.<br><br>სტუდენტს გამომუშავებული აქვს ენის საკითხებთან დაკავშირებული თემების პრაქტიკულ საქმიანობაში თავის გართმევის უნარი. |

| | |
|---|---|
| | სტუდენტს შეუძლია პალეოგრაფიის საკითხების თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით ძველი ქართული ტექსტების აღდგენა-ამოკითხვა, რიცხვობრივი მნიშვნელობებისა და წელთაღრიცხვის სისტემების გარკვევა;<br><br>სტუდენტს შეუძლია დაიცვას სტილისტური ნორმები და აანალიზებს სტილისტურ შეცდომებს არჩევს სათანადო სტილისტურად გამართულ ფორმას.<br><br>სტუდენტს შეუძლია თეორიული ცოდნა ქართული დიალექტების თავისებურებანის შესახებ გამოიყენოს პრაქტიკული ჩვევების დასაუფლებლად.<br><br>სტუდენტს შეუძლია თეორიული ცოდნა (სიტყვათწარმოების საშუალებები, სიტყვის მნისვნელობის ცვლა, კომპოზიცია) გამოიყენოს პრაქტიკული ჩვევების დასაუფლებლად.<br><br>სტუდენტს შეუძლია მსჯელობა სასულიერო საეკლესიო მწერლობის თავისებურებებზე, ჟანრობრივ - თემატურ სიახლეთა თვისობრივ მხარეებზე. საკითხისადმი ახლებური მიდგომა, აზრის სწორად ჩამოყალიბება.<br>სტუდენტი შეძლებს პრაქტიკაში გამოიყენოს ის სიახლენი, რაც დამახასიათებელია ძველი ქართული ლიტერატურისათვის. სტუდენტი შეძლებს ძველი ქართული ლიტერატურის რიგი ნაწარმოებების დესაკრალიზების კუთხით გააზრებას და მისი სფეციფიკურობის წარმოჩენას.<br><br>შეუძლია რომელიმე კონკრეტული კერის შესახებ სრულყოფილი მასალის მოძიება, დამუშავება და ანალიზი. შეუძლია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ეკლესია-მონასტრების მნიშვნელობის გაანალიზება-შეფასება.<br><br>სტუდენტს შეუძლია რუსთველოლოგიური საკითხების გადაწყვეტას ახალი ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ასევე პოემის შეფასება სულიერ ღირებულებათა თვალსაზრისით.<br><br>შეუძლია საკუთარი პოზიცია მყარად დააფიქსიროს საზოგადოების წინაშე, გადმოსცეს შეხედულებანი რეალიზმის, როგორც ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ, თამამად გამოთქვას აზრი სპეციალურ სტუდენტურ შეხვედრებსა და პრეზენტაციებზე.<br><br>სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა კვლევითი თუ პრაქტიკული ხასიათის პროექტის/სამუშაოების შესრულებისას |

| | |
|---|---|
| | წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად XX საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემატიკის გააზრება და გადაჭრა აპრობირებული მეთოდების გამოყენებით.<br><br>სტუდენტი შეძლებს ქართული ლექსმცოდნეობის ისტორიასთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასებასა და ანალიზს. აქვს უნარი, დასახოს პრობლემების გადაჭრის გეგმები და ინდივიდუალური მიდგომა საკითხებისადმი.<br>სტუდენტს შეუძლია განიხილოს მხატვრული ტექსტები, ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით. გამოყოს ჟანრები, გვარები, ტროპული მეტყველების სახეები, განიხილოს ლექსწყობის მარტივი სისტემები. მას შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად. კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;<br><br>მიმდინარე ქართული ლიტერატურული პროცესებისათვის დამახასითებელი ხაზებისა და ნიუანსების ამოცნობა და გააზრება. მიმდინარე ლიტერატურული პროცესების, როგორც ლიტერატურის ისტორიის გაგრძელების აღქმა, შეფასება და ინდივიდუალური მიდგომები. კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, თანამედროვე ტექსტების მიხედვით;<br><br>სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა კვლევითი თუ პრაქტიკული ხასიათის პროექტის/სამუშაოების შესრულებისას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ტექსტოლოგიის პრობლემატიკის გააზრება და გადაჭრა აპრობირებული მეთოდების გამოყენებით.<br>მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს შეუძლია საკუთარი პოზიცია მყარად დააფიქსიროს საზოგადოების წინაშე, დამოუკიდებლად შემუშავებული შეხედულებანი თამამად გამოთქვას სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებსა და პრეზენტაციებზე. აქვს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გარკვეული უნარი, გეგმავს და სწორად ანაწილებს სამუშაო დროს.<br><br>სტუდენტს ჩამოყალიბებული აქვს ლიტერატურული გემოვნება, ანალიტიკური აზროვნება. შეუძლია არა მარტო ერთი კონკრეტული პრობლემის დასმა, არამედ ერთი საკითხის ირგვლივ არსებულ შეხედულებათა ანალიზი და საკუთარი თვალსაზრისის დამაჯერებელი, არგუმენტირებული დასაბუთება. |

| | |
|---|---|
| | მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია ქართული სალიტერატურო კრიტიკის უმთავრეს პრობლემებზე მსჯელობა. |
| დასკვნის უნარი | სტუდენტს გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები.<br><br>შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.<br><br>დებატებისა და დისკუსიების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთება.<br><br>სტუდენტს შეუძლია ზმნის მორფო-სინტაქსურ საკითხებთან, კერძოდ: ზმნის რაობის, სინტაქსური ფუნქციის, წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, მონაცემების შეგროვება, გაანალიზება–გააზრება და ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე, ლინგვისტური, დასაბუთებული ლოგიკური დასკვნის ჩამოყალიბება.<br><br>აქვს ზეპირი და წერილობითი სახით დასკვნების გაკეთების უნარი ქართული წინადადების შედგენილობის, აგებულებისა და სტრუქტურის შესახებ.<br><br>აქვს ზეპირი და წერილობითი სახით დასკვნების გაკეთების უნარი ქართული ენის დიალექტების შედგენილობისა და ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის აგებულებისა და სტრუქტურის შესახებ.<br><br>შეუძლია წინასწარ გაიაზროს კვლევის მოსალოდნელი შედეგები, თავი გაართვას მუშაობის პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა და სირთულეებს.<br><br>სტუდენტი შეძლებს მიღებული ცოდნის საფუძველზე ინტელექტუალურად ამაღლებულ ანალიზს და ძველი ქართული ლიტერატურის ინტერპრეტაციას.სტუდენტი შეძლებს დისკუსიებსა და დებატებში სწორი დასკვნების გაკეთებას და რაც |

| | |
|---|---|
| | მთავარია ღირსეულად წარმოაჩენს თავის სათქმელს.<br><br>კვლევების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, უახლეს მიღწევათა გააზრებით არა მხოლოდ თეორიული ცოდნის ათვისება, არამედ მისი წარმოჩენა განსახოვნებასთან მიმართებაში.<br><br>სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს გარკვეული დასკვნები რომანტიკოსთა შემოქმედებითი პრობლემების ირგვლივ; დებატებისა და დისკუსიების დროს შეუძლია სწორი და ლოგიკური დასკვნების გაკეთება; მწერლის პიროვნებაზე საკუთარ დასკვნებს წარმოადგენს დამაჯერებლად და ასაბუთებს მას ლოგიკური თანმიმდევრულობით.<br><br>სტუდენტი აქვს უნარი მოიძიოს საჭირო ინფორმაცია ძველი ქართული ლიტერატურისა და XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის საკითხებთან დაკავშირებით, შეაგროვოს მონაცემები, გააანალიზოს, გაიაზროს და ლოგიკური დასკვნები ჩამოაყალიბოს.<br><br>სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს დასკვნები რეალისტ მწერალთა შემოქმედებითი პრობლემების ირგვლივ და განჭვრიტოს მოსალოდნელი შედეგები; დებატებისა და დისკუსიების დროს შეუძლია სწორი და ლოგიკური დასკვნების გაკეთება; ლიტერატურის განვითარების პროცესებზე საკუთარ აზრებსა და დასკვნებს წარმოადგენს დამაჯერებლად და ასაბუთებს მას ლოგიკური თანმიმდევრულობით.<br><br>სტუდენტს შეუძლია ლექსმცოდნეობის ისტორიის თემაზე მიმდინარე სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა. გააჩნია ქართული ლექსმცონეობის ისტორიის ანალიზისა და სინთზის, შემოქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები.<br><br>სტუდენტს შეუძლია ლიტერატურის თეორიის შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, შესწავლილი კვლევის მეთოდების მიხედვით. ასევე, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;<br><br>მიმდინარე ქართული ლიტერატურული პროცესებისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება.<br><br>სტუდენტს აქვს უნარი მოიძიოს საჭირო ინფორმაცია ტექსტოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით, შეაგროვოს მონაცემები, გააანალიზოს, გაიაზროს და ლოგიკური დასკვნები ჩამოაყალიბოს.<br><br>სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს გარკვეული დასკვნები მწერლის შემოქმედებითი პრობლემებისა და მხატვრული ხერხების ირგვლივ. ამავე დროს, დებატებისა და დისკუსიების დროს, შეუძლია ლოგიკური დასკვნების გაკეთება |

| | |
|---|---|
| | მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე. სტუდენტთა საჯარო შეხვედრებზე საკუთარ შეხედულებებსა და დასკვნებს წარმოადგენს დამაჯერებლად და შეძლებისდაგვარად ასაბუთებს მას ლოგიკური თანმიმდევრულობით. სტუდენტს შეუძლია ქართული ხალხური სიტყვიერების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება, მონაცემების შეგროვება, მათი გაანალიზება, გააზრება, ლოგიკური დასკვნის ჩამოყალიბება. შეგროვილი მასალის გაანალიზების შედეგად წერილობითი ფორმით დასკვნების ჩამოყალიბება. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფრმაციების მომზადება ქართული ენის და ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტების შესახებ, ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.<br><br>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს დამოუკიდებელი თუ ჯგუფური მუშაობის უნარი; შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.<br><br>სტუდენტს შეუძლია ზმნის მორფო-სინტაქსურ საკითხებთან, კერძოდ: ზმნის რაობის, სინტაქსური ფუნქციის, წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებთან დაკავშირებული იდეების, წარმოჩენილი პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის აუდიტორიის წინაშე წარდგენა (სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის), ზეპირად გადაცემა ქართულ ენაზე; დისკუსიაში, დებატებსა და კონფერენციებში მონაწილეობა; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.<br>სტუდენტს შეუძლია ძველი ქართული ლიტერატურისა და XIX-XX საუკუნეების ქართული მწერლობის საკითხებთან დაკავშირებული იდეების, წარმოჩენილი პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის აუდიტორიის წინაშე წარდგენა (სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის), ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე; დისკუსიაში, დებატებსა და კონფერენციებში მონაწილეობა; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. სტუდენტს შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება ქართული ლექსის მკვლევრების, აგრეთვე, მათ მიერ განხილული და დამუშავებული ტექსტების შესახებ. აქვს უნარი ამ ინფორმაციის დამუშვების და ნათლად წარმოდგენის.<br><br>სტუდენტს შეუძლია ლიტერატურის თეორიის ირგვლივ არსებული იდეების დამუშავება და ფლობს პრობლემების გადაჭრის მექანიზმს. ამზადებს დეტალურ წერილობით ანგარიშს და გადასცემს ინფორმაციას სპეციალისტებისა და |

| | |
|---|---|
| | არასპეციალისტებს ზეპირად. აგრეთვე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შემოქმედებითად იყენებს;<br><br>მიმდინარე ქართული ლიტერატურული პროცესების თანმდევი პრობლემების შემჩნევა და გადაჭრის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. ასევე, ამ ინფორმაციის ზეპირად გადმოცემის უნარი. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;<br><br>სტუდენტს შეუძლია ტექსტოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული იდეების, წარმოჩენილი პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის აუდიტორიის წინაშე წარდგენა (სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის), ზეპირად გადაცემა ქართულ ენაზე; დისკუსიაში, დებატებსა და კონფერენციებში მონაწილეობა; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.<br><br>სტუდენტს შეუძლია: პრეზენტაციების მომზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა დავალების შესრულების დროს.<br><br>შეუძლია შესაბამისი სტილისტური ტექსტების დაცვით კომუნიკაციის დამყარება, წერილობითი და ზეპირი ურთიერთობა.<br><br>აქვს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი ააგოს წინადადება თეორიული ცოდნის შესაბამისად.<br><br>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის უნარი. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობიოთი კომუნიკაცია.<br><br>სტუდენტი შეძლებს ჟანრების თეორიის არსებითი საკითხების შესახებ კომუნიკაციას, როგორც სპეციალისტთა, ისე არასპეციალისტთა წრეში.სტუდენტი შეძლებს ამ საგნის გაცნობიერებას და დისკუსიებსა და დებატებში გამოიმუშავებს გამოსვლის უნარ-ჩვევებს, რაც სხვათა აზრის პატივისცემასაც ნიშნავს.<br><br>წერილობითი ფორმით ჩართვა სამეცნიერო დისკუსიებში როგორც საკუთარ დარგში, ასევე ნებისმიერ მისთვის |

| | |
|---|---|
| | კომპეტენტურ სფეროში. ასევე ლაკონურად და გასაგებად გადმოცემა და საკუთარი თვალთახედვით დაცვის უნარი.<br><br>საკუთარი და სხვისი ღირებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში თავისი წვლილის შეტანა. კარგად ესმის მორალური კანონები და გამოხატავს ოპონენტისადმი მოკრძალებასა და პატივისცემას.<br><br>შესწავლილი თემატიკის პრობლემებზე შეუძლია გამართული წერილობითი კომუნიკაცია. გამომუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის სტუდენტთა კონფერენციებზე რომანტიკოს პოეტთა მემკვიდრეობის ირგვლივ აკადემიურად მისაღები გამოკვლევის მომზადებისა და წარმოდგენის უნარი.<br><br>შესწავლილი თემატიკის პრობლემებზე შეუძლია საშუალო მეცნიერული დონის წერილობითი კომუნიკაცია. აქვს სხვადასხვა ტიპის საჯარო გამოსვლისათვის მისაღები აკადემიური დონის მქონე გამოკვლევის მომზადებისა და წარმოდგენის უნარი.შეუძლია წერილობითი ფორმით, ან ზეპირად ჩაერთოს სტუდენტთა სამეცნიერო დისკუსიაში<br><br>ქართული ხალხური შემოქმედების ასპექტებთან დაკავშირებით სტუდენტს შეუძლია მოხსენების, რეფერატის დაწერა დამოუკიდებლად მოძიებული მასალის შესახებ, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და დისკუსიაში თუ დებატებში ჩართვა. |
| სწავლის უნარი | შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. ასევე შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.<br><br>სტუდენტს განვითარებული აქვს სწავლის შეძენის უნარი.<br><br>შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; ქართული ენის გრამატიკის საკითხების (ახალი მასალის/მორფოლოგიის) ფართოდ ათვისების აუცილებლობისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; პრიორიტეტების განსაზღვრა.<br>აქვს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი ააგოს წინადადება სათანადო სპეციფიკის დაცვით, თეორიული ცოდნის შესაბამისად.<br><br>სტუდენტს აქვს დროის შესაფერისად ახალი ინიციატივების წამოწყებისა და კონკურენტულ გარემოში ადგილის დამკვიდრების უნარი.<br><br>სტუდენტს აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ძველი ქართული ენის ფარგლებში ახალი ცოდნის შეძენის, |

| | |
|---|---|
| | სანდო წყაროს შერჩევისა და ანალიზის უნარი.<br><br>ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით ახალი ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ცოდნის გაღრმავების უნარი.<br><br>შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება.<br><br>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს სწავლის შეძენის უნარი და თავისუფლად შეუძლია ქართული ლიტერატურის ისტორიის მომდევნო პერიოდებზე მუშაობა.<br>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და სწავლის პროცესის თავისებურებების გათავისება და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა.<br><br>სტუდენტს თამამად შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და მისი მეცნიერული დამუშავება; შეუძლია განავითაროს და გამოიმუშაოს ლიტერატურის მკვლევარისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; შეძენილი აქვს დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. შეუძლია იზრუნოს სწავლის დონის შემდგომ საფეხურზე.<br><br>ზრუნავს სწავლისა და მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; ძველი ქართული ლიტერატურისა და XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის საკითხების ათვისების აუცილებლობისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; პრიორიტეტების განსაზღვრა. |
| ღირებულებები | იხილავს და აანალიზებს ქართულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს<br><br>შეუძლია პრობლემური საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით; ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიართა აზრს.<br><br>იცნობს ლინგვისტიკის კანონზომიერებებს და მისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს.<br><br>იხილავს და აანალიზებს ენათმეცნიერებასთან, ფონეტიკასთან, მორფოლოგიასთან და სინტაქსთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს. ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიერთა აზრს. იცავს ეთიკის ნორმებს |

| | |
|---|---|
| | თანატოლებთან და უფროს კოლეგებთან ურთიერთობის დროს.<br><br>სტუდენტი იხილავს და აანალიზებს ქართულ პალეოგრაფიასთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს. იცავს აკადემიურ პატიოსნებას.<br><br>სტუდენტი შეძლებს სხვათა აზრის პატივისცემას, საკუთარი შესაძლებლობის შეფასებას და შინაგანი კულტურის, მრწამსის წარმოჩენას ოპონენტისადმი, რაც მოკრძალებასა და პატივისცემით გამოიხატება.სტუდენტი შეძლებს სხვებთან მიმართებაში და პროფესიულ საქმიანობაში სხვისი აზრის გათვალისწინებას, მეცნიერული პრინციპების დაცვას.<br><br>აღიარებს წერითი ნაშრომების შექმნისათვის საჭირო „პატიოსნებას“; ითვალისწინებს და პატივს სცემს კოლეგების აზრს; აცნობიერებს წერითი ნაშრომების შექმნისას გასათვალისწინებელ მორალურ კანონებს, პატივს სცემს ოპონენტთა აზრებს და გმობს პლაგიატის ნებისმიერ გამოვლინებას.<br><br>მონაწილეობს ლიტერატურული ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.<br><br>მონაწილეობს ტექსტოლოგიური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. პატივს სცემს სხვის შეხედულებებს, იცავს ეთიკის ნორმებს თანატოლებთან და უფროს კოლეგებთან ურთიერთობის დროს.<br><br>სტუდენტი აცნობიერებს ფოლკლორის როლს ქართველი ხალხის ისტორიაში, ყოფასა და კულტურაში. ის ითვალისწინებს და პატივს სცემს ფილოლოგებისა და ფოლკლორის სპეციალისტების აზრს, იცავს აკადემიურ პატიოსნებას. |

სწავლის შედეგების რუქა:

| სასწავლო კურსები | კ ო მ პ ე ტ ე ნ ც ი ე ბ ი ს ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკა ციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებ ბი |
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო** | | | | | | |
| უცხო ენა | X | X | X | X | X | X |
| აკადემიური წერა | X | X | X | X | X | X |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები | X | X | X | X | X | X |
